საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

10/02/2026

MES 6 26 0000142754

გადაწყვეტილება

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიონანოკერამიკული და პოლიმერული კომპოზიტები და ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. აკრედიტაციის დებულების 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ^1“ ქვეპუნქტის მიხედვით თუ საგანმანათლებლო პროგრამა პირველ (საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა) ან მე - 4 (სწავლების რესურსებით

უზრუნველყოფა) სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" და სტანდარტის "მეტწილად შესაბამისობა" განპირობებულია ამავე სტანდარტის არაუმეტეს ერთი კომპონენტის შეფასებით, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით ამ დებულებით დადგენილი წესით დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ (არაუმეტეს 2 წლის ვადაში), რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში;

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 31 ოქტომბრის №1440287 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების „ბიონანოკერამიკული და პოლიმერული კომპოზიტები და ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმა ნათლებლო პროგრამის შეფასება.

2.2. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

ა) საბჭომ ამოიღო სტანდარტის 2.2. კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია „რეკომენდებულია პროგრამის მატერიალურ - ტექნიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით", შედეგად, 2.2 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან", განისაზღვრა, როგორც „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან".

ბ) საბჭომ სტანდარტის 4.5 კომპონენტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციის (რეკომენდებულია პროგრამის მატერიალურ - ტექნიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება) შინაარსის გათვალისწინებით შეცვალა აღნიშნული კომპონენტის შეფასება, კერძოდ, ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან", განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან. შედეგად, მეოთხე სტანდარტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან", განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან".

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „ბიონანოკერამიკული და პოლიმერული კომპოზიტები და ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 31 დეკემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ბიონანოკერამიკული და პოლიმერული კომპოზიტები და ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 10 თებერვლის №138473 სხდომის ოქმის № 03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააანალიზოს პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მაჩვენებლები და დაგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები მათი საერთაშორისო ხილვადობის გაუმჯობესების მიზნით;
- რეკომენდებულია, სამუშაო დატვირთვის სქემა ასახავდეს როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის სრულ დატვირთვას, მათ შორის აკადემიური პერსონალისთვის განსაზღვრულ სამეცნიერო დატვირთვას, და გამოსწორდეს არსებული შეუსაბამობები;
- რეკომენდებულია, შემუშავდეს სარეკომენდაციო გეგმა ფინანსური შესაბამისობის გაუმჯობესების მიზნით;
- რეკომენდებულია, ისეთი პროგრამებისა და აქტივობების შემუშავება, რომლებიც გაზრდის სტუდენტების ცნობიერებას აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ, გააცნობს პლაგიატის თავიდან აცილების მეთოდებს და გააუმჯობესებს სათანადო ციტირებისა და ბიბლიოგრაფიული მითითებისთვის აუცილებელ უნარებს. ეს ინიციატივა არა მხოლოდ გააუმჯობესებს სტუდენტების აკადემიურ კომპეტენციებს, არამედ გააძლიერებს უნივერსიტეტში აკადემიური კეთილსინდისიერების საერთო კულტურას;
- ლაბორატორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის გამოყენებული ტექნიკური აღჭურვილობის ნაწილი მოძველებულია და სრულად არ აკმაყოფილებს თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებს. ამის გათვალისწინებით, რეკომენდებულია, თანდათანობით და სისტემატურად განახლდეს აღჭურვილობა, რაც ასევე შეესაბამება სტუდენტების სურვილებს, როგორც ეს დადასტურდა ინტერვიუების დროს;
- რეკომენდებულია პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 31 დეკემბერს.
6. საბჭო მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით აკრედიტაციის დებულებით დადგენილი წესით დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ 2 წლის ვადაში.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ელექტრონული
შეფასებასმეღის
ელექტრონული